

რეცენზია BRIEF REVIEWS

Studia Litteraria Universitatis Jagellonicae Cracoviensis, Volume 14 (2019), Special Issue. Volume in Honour of Professor Anna Krasnowolska. Editor-in-Chief: Celina Juda

ირანული ენებისა და ლიტერატურის კვლევასა და სწავლებას კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ამ უნივერსიტეტში მუშაობდნენ და ლექციებს კითხულობდნენ გამოჩენილი პოლონელი აღმოსავლეთმცოდნეები: ტადეუშ კოვალსკი (1889-1949), ფრანტიშეკ მახალსკი (1904-1979) ვოიციეხ სკალმოვსკი (1933-2008) და სხვანი.¹

პროფესორი ანა კრასნოვოლსკა, რომელსაც მიეძღვნა 2019 წელს კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტის აკადემიური სერიის „Studia Litteraria“-ს მე-14 კრებული,² პოლონური ირანისტიკული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ანა კრასნოვოლსკა დაიბადა 1949 წელს კრაკოვში. 1967-72 წლებში სწავლობდა კრაკოვის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის განყოფილების (მოგვიანებით, აღმოსავლური ფილოლოგიის ინსტიტუტის) ირანისტიკის სექციაზე. 1972 წელს მან მიიღო მაგისტრის წოდება, ხოლო 1983 წელს იმავე უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ეპიკური ციკლი“. მეორე სადოქტორო (პოსტ-დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად) მან დაიცვა მონოგრაფიის სახით (კრაკოვის უნივერსიტეტის გამოცემა) 1998 წელს თემაზე „ირანული კალენდარული მითოლოგიის ზოგიერთი მთავარი ფიგურა“ (ინგლისურ ენაზე). ამ ნაშრომში სისტემურად

1 ირანისტიკის შესახებ პოლონეთში და იმ დიდი სკოლის შესახებ, რომელიც კრაკოვის უნივერსიტეტში შეიქმნა, იხ. Anna Krasnowolska, *Iranian Studies in Poland, Iranian Studies. The Journal of the Society for Iranian Studies* 20(2-4), Oxford, 1987, pp. 179–222 [სტატიის სპარსული თარგმანი -Tahqiqât-e irânšenâsi dar Lahestân, *Našr-e Dâneš*, 9(3), Tehran, 1368/1989, გვ. 16–26]. იხ. ასევე პუბლიკაციის გაფართოებული და შევსებული ელექტრონული ვერსია, რომელიც გამოქვეყნდა 2000 წელს Encyclopaedia Iranica-ში: <https://iranicaonline.org/articles/poland-iii-iranian-studies>.

2 იხ. კრებულის ელექტრონული ვერსია:
<https://www.ejournals.eu/Studia-Litteraria/2019/Volume-14-Special-Issue/>

იყო განხილული ირანულენოვან სივრცეში (დაწყებული ქურთისტანიდან ვიდრე პამირამდე) გავრცელებულ ფოლკლორში ასახული ძველი რელიგიური წარმოდგენები და რიტუალები. მონოგრაფიაში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ისლამამდელი ირანული კალენდარული პერსონაჟების წარმომავლობის, მათი ტიპოლოგიისა და ფუნქციების ანალიზს. ნაშრომი, რომელიც ეყრდნობოდა მდიდარ წყაროებს, ფაქტობრივ მასალას და მოიცავდა ფართო გეოგრაფიულ არეალს, თავისი კვლევის მეთოდოლოგიითა და თეორიული დასკვნებით ბევრად ინოვაციური იყო. ეს მონოგრაფია მნიშვნელოვანი გახდა არა მხოლოდ ძველი ირანული, არამედ ზოგადად, ინდო-ევროპული ფოლკლორისა და ირანულ-სლავური კულტურული პარალელების შესასწავლად. 2012 წელს გამოვიდა კრასნოვოსლკას კიდეც ერთი ღირებული მონოგრაფია „მითები, პოპულარული წარმოდგენები და სიმბოლური ცხოველები სპარსულ ლიტერატურაში“ (ფრანგულ ენაზე), რომელიც დაიბეჭდა პარიზში, საფრანგეთის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო სერიაში „Studia Iranica“, Cahier 48.

ანა კრასნოვილსკა 150-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია. მისი მრავალმხრივი კვლევის თემატიკა მოიცავს ისლამამდელი და თანამედროვე ირანის ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის სხვადასხვა ასპექტს: ეროვნული მითოლოგიის განვითარებასა და ფუნქციონირებას, ირანული რელიგიური სისტემის ჩამოყალიბებასა და ტრანსფორმაციას, ირანელთა სოციალურსა და ესთეტიკურ კონცეფციებს, ზეპირსიტყვიერი და წერილობითი კომუნიკაციის საკითხებს და სხვ.

მეცნიერის კვლევის სფეროში შევიდა პოლონურ-ირანული ურთიერთობისა და პოლონური აღმოსავლეთმცოდნეობის საკვადო საკითხებიც. მას ეკუთვნის სპარსული ლიტერატურის ნიმუშების თარგმანების მთელი წყება პოლონურ ენაზე და პოლონური პოეზიის თარგმანები სპარსულად.

ანა კრასნოვოლსკას 2015 წელს მიენიჭა კრაკოვის უნივერსიტეტის პროფესორის წოდება. აღსანიშნავია, რომ 1999-2002 წწ-ში იყო აღმოსავლური ფილოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი და 2000-2017 წწ-ში – ინსტიტუტის ირანული განყოფილების ხელმძღვანელი. ის ასევე იყო ირანისტთა ევროპული საზოგადოების (Societas Iranologica Europaea) კომიტეტის წევრი (203-2011 წწ) და ამ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (2007-2011 წწ).

2019 წელს გამოცემული ა. კრასნოვოლსკას საიუბილეო კრებული (276 გვ.) შეიცავს სხვადასხვა ქვეყნის (პოლონეთის, საფრანგეთის, ავსტრიის, შვედეთის, უნგრეთის, ინგლისის, ამერიკის და სხვ.) წამყვანი

აღმოსავლეთმცოდნეების (ირანისტების, არაბისტების, ინდოლოგების, კავკასიოლოგების) თემატურად მეტად მრავალფეროვან სტატიებს. კრებულს უძღვის კრაკოვის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ა. კრასნოვოლსკას მოწაფის, რენატა რუსეკ-კოვალსკას ინფორმატიული სტატია მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. შესავალი სამ ენაზეა შედგენილი: ინგლისურად (გვ. 1–4), პოლონურად (გვ. 5–7) და სპარსულად (გვ. 9–13), მას ერთვის ა. კრასნოვოლსკას რჩეული შრომების სია (გვ. 15–24).

კრებულში წარმოდგენილია 22 ავტორის პუბლიკაცია, 1 რუსულ ენაზეა, 1 – პოლონურ ენაზე, ხოლო დანარჩენი – ინგლისურად. წარმოვაგენტ კრებულში შესულ სტიატიათა მოკლე მიმოხილვას:

პირველი სტატიის ავტორია რუსულ-სომხური სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ვიქტორია არაკელოვა (Viktoriya Arakelova) (ერევანი). მისი სტატია „კიდევ ერთი მითი იეზიდების წარმომავლობის შესახებ“ (გვ. 25–31, რუსულ ენაზე) ეხება იეზიდურ ფოლკლორში დადასტურებულ ეთნოგენეტიკური ხასიათის მითებს. ყურადღება ეთმობა იეზიდების წარმომავლობის შესახებ დღემდე უცნობ მითს, რომელიც დასტურდება გასული საუკუნის ორმოციან წლებში აღმოჩენილ ტექსტში. ლეგენდაში იძებნება „მაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი ამბის პარალელები.

შემდეგი სტატია ეკუთვნის ასევე რუსულ-სომხური უნივერსიტეტის პროფესორს, გარნიკ ასატრიანს (Garnik Asatrian). სტატიაში „ბაყაყი სპარსულ ენაში და *š>l მონაცვლეობა დასავლური ჯგუფის ახალ ირანულ ენებში“ (გვ. 33–37) განხილულია „ბაყაყის“ აღმნიშვნელი ლექსემების ეტიმოლოგია თანამედროვე ირანულ ენებში, განსაკუთრებით კლასიკურ სპარსულში, ისტორიული ფონეტიკის მონაცემთა შუქზე.

მესამე სტატიის ავტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კრაკოვის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის ინსტიტუტის ქურთოლოგიის სექციის დირექტორი ჯოანა ბოხენსკა (Joanna Bochénska). მისი პუბლიკაცია „ჰუმანიზაციის ძალა. სალიტერატურო კვლევების როლი და ქურთული ლიტერატურა“ (გვ. 39–52) ეძღვნება ლიტერატურისა და სალიტერატურო კვლევების მნიშვნელობას სხვადასხვა კულტურის მქონე ხალხების ჰუმანიზაციის საკითხებში. ეს პუბლიკაცია ავტორის სოციო-ფსიქოლოგიური კვლევის შედეგია. მისი შესწავლის საგანია თანამედროვე ქურთი მწერლის, მეჰმედ დიკლეს ერთ-ერთი მოთხრობა.

კალიფორნიის უნივერსიტეტის ირვინის ცენტრის პროფესორის თურაჯ დარიას (Turaj Daryae) სტატიაში „თავლი: დემონური საკვები ზოროასტრულ ირანში?“ (გვ. 53–57) განხილულია ფუტკრების,

როგორც მავნე არსებების საკითხი ზოროასტრულ ტრადიციაში და მათთან დაკავშირებული პროდუქტის გამოყენება ირანულ სამყაროში. თაფლი, როგორც მავნე არსების პროდუქტი, გვხვდება არა მხოლოდ ზოროასტრულ ლიტერატურაში (მისი აღმნიშვნელი ტერმინია *angubēn*), არამედ ადრე ახალ სპარსულ წყაროებშიც. ყოველივე ეს უკავშირდება ძველი ირანული სამყაროს პანთეონს, რომელშიც თაფლი ასოცირდება ბოროტ სულებთან (დევებთან).

ვენის ირანული კვლევების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერის, პროფესორ ბერტ ფრაგნერის (Bert Fragner) სტატია „ირანის მენტალური კარტოგრაფია, იდენტურობა და პატრიოტიზმი ადრეულ თანამედროვე ირანში – მოჰამად ე მოფიდის შემთხვევა“ (გვ. 59–73) ეხება XVII საუკუნეში ინდოეთში მცხოვრებ ირანელს და მის გეოგრაფიულ ტრაქტატს. ავტორის აზრით, ეს თხზულება იმ პერიოდის ირანული იდენტურობის დამადასტურებელი წყაროა.

ოტტო ფრიდრიხის ბამბერგის უნივერსიტეტის პროფესორის, როქსანა ჰააგ-ჰიგუჩის (Roxana Haag-Hiiguchi) სტატიაში „ლიტერატურული ჰეროიზაცია ეროვნული თავისუფლების გამო“ (გვ. 75–89) განხილულია მოჰამად ჰოსეინ როქნაბადე-აღამიათის რომანი „თანგესთანის გულადები“ (დაიბეჭდა 1931/1934 წწ-ში) და წამოყენებულია დებულება, რომ რომანის მთავარი იდეა ადგილობრივი პროტაგონისტების ჰეროიზაცია იყო, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურებოდა რეზა შაჰის ეპოქის (1925-1941) ნაციონალისტურ პოლიტიკას.

უფსალას უნივერსიტეტის ლინგვისტიკისა და ფილოლოგიის განყოფილების პროფესორის, კარინა ჯაჰანის (Carina Jahani) სტატიაში „ჩვენ მივემართებით იერუსალიმისკენ! ტოპონიმები ოთხთავის ორ ბელუჯურ თარგმანში“ მოცემულია ტოპონიმების გადმოცემის საკითხები ოთხთავის სამხრეთ ბელუჯური თარგმანის ორ ვერსიაში: პირველი ითარგმნა კარაჩიში, 1999 წელს, ხოლო მეორე შედარებით გვიანდელია.

ოთხთავის ამ ორ ხელნაწერში დადასტურებული ტოპონიმები (ქვეყნებისა და პროვინციების, ქალაქებისა და სოფლების, მდინარეების, ტბების, მთებისა და სხვ. სახელწოდებები) გადმოცემულია განსხვავებულად: უფრო ადრინდელ ვერსიაში ისინი პირდაპირ გადმოწერილია და მხოლოდ მოკლე ხმოვნებისთვის გამოყენებულია დიაკრიტიკული ნიშნები, ხოლო უფრო გვიანდელ ვერსიაში – მხოლოდ მათი თარგმანია, ბელუჯურისთვის დამახასიათებელი ფონოლოგიური და ორთოგრაფიული თავისებურებათა ასახვით.

კრაკოვის უნივერსიტეტის დოქტორანტის, რადოსლავ კანარკოვსკის (Radosław Kanarkowski) სტატია „რამდენიმე შენიშვნა არაბული

და სპარსული ნასესხობების ადაპტური ფონეტიკური ცვლილებების შესახებ დალესტნურ ენებში“ (გვ. 105–111) ეძღვნება იმ ფონეტიკურ და სემანტიკურ ტრანსფორმაციებს, რომლებიც განიცადეს არაბულ-სპარსულმა ლექსიკურმა ერთეულებმა მთელ რიგ დალესტნურ ენებში.³

დელავერის (ამერიკა) უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორის, რუდი მათეს (Rudi Matthee) სტატიამი „უსაფრთხო სივრცე შაჰისა და მისი ცოლებისთვის: Quruq-ის პრაქტიკა სეფიანთა ხანაში“ (გვ. 113–133) განხილულია მონღოლური წარმომავლობის ტერმინის quruq-ის („შებლუდული, აკრძალული“) ტრანსფორმაცია და ფუნქციონირება სეფიანთა კარზე, სადაც მისი მნიშვნელობა გახდა „ემბარგო, საჭურისების მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი სივრცე“, რომელშიც იყვნენ მეფის ცოლები საზოგადოებაში გამოჩენისას.

კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის, ჩარლზ მელვილის (Charles Melville) სტატიამი „მექანიკური საათი ქაშანში ადრეულ XVII საუკუნეში“ (გვ. 135–141) გადმოცემულია შაჰ-აბასის (1587-1629) დროს შექმნილი ახალი მექანიზმის – საათის ისტორია. საათი, რომელიც მოთავსებული იყო ქალაქ ქაშანის მთავარ მოედანზე, მუშაობდა ბერკეტებისა და საწონების საშუალებით. საათის ჩვენებისას მოწყობილობა გამოსცემდა ხმას, რასაც სინქრონულად ახლდა იქვე განთავსებული ფიგურების მოძრაობა. ამ საათის გამოგონების ამბავს ავტორი განიხილავს სეფიანთა ხანაში საათების შექმნისა და გავრცელების ისტორიის ფონზე.

კრაკოვის უნივერსიტეტის არაბისტიკის მიმართულების სრული პროფესორის ბარბარა მიქალაკ-პიკულსკას (Barbara Michalak-Pikulska) სტატია „იდენტურობის საკითხი ლიტერატურაში და ომანის კულტურული ცხოვრება“ მკითხველს აცნობს XX საუკუნის ომანის კულტურული ცხოვრების აღმავლობის საკითხებს. კერძოდ, კულტურული კლუბების დაარსებისა და გაზეთების ფართოდ გავრცელების პროცესებს. სტატიამი ასევე განხილულია ომანელი პროზაიკოსებისა და პოეტების შემოქმედება, რომელშიც იდენტობის საკითხებზეა მსჯელობა.

კრაკოვის უნივერსიტეტის ინდოლოგიის მიმართულების სრული პროფესორის, ივონა მილევსკას (Iwona Milewska) სტატია „ინდური ეპიკური გმირის ტოპოსი ანუ ხელმწიფის სახე მაჰაბჰარატაში“ (გვ. 153–162) (პოლონურ ენაზე) ეხება „მაჰაბჰარატას“ პოეტიკის საკითხებს, იდეალური ინდოელი გმირის გადმოცემის პოეტურ ფორმებს.

3 საგულისმოა, რომ დალესტნური ენების სტრუქტურის შესახებ არსებული შრომებიდან ავტორი იმომხმებს ქართველი კავკასიოლოგების – ნ. არდოტელისა და ც. ბარამიდის პუბლიკაციებს.

კრაკოვის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორის, პაულინა ნიეჟციალის (Paulina Niechciał) სტატიაში „პოსტ-რევოლუციური ქალური ხმები – ლიტერატურა და ხელოვნება მამაკაცების გარეშე“ (გვ. 163–173) გადმოცემულია, რომ 1979 წლის რევოლუციის შემდეგ ირანელმა მწერალმა ქალებმა აქტიურად განავითარეს თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში გენდერული საკითხების სხვადასხვა სოციო-კულტურული ასპექტები და წინ წამოსწიეს მათი მნიშვნელობისა და ღირებულების პრობლემატიკა. ავტორის ეს პუბლიკაცია ეძღვნება ქალების საკითხს თანამედროვე ირანში, ნიმუშისთვის განხილულია შაჰრნუმ ფარსიფურის რომანი „ქალები მამაკაცების გარეშე“, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოები იყო ისლამური რევოლუციის შემდგომი უანრობრივი მწერლობის განვითარებაში.

შემდეგი სტატია ეკუთვნის რზეზოვის (პოლონეთი) უნივერსიტეტის ძველი ისტორიისა და აღმოსავლეთის კვლევის მიმართულების პროფესორს, მარეკ იან ოლბრიხტს (Marek Jan Olbrycht). მის პუბლიკაციაში „წარსულის ხსოვნა: აქემენიანთა მემკვიდრეობა არშაკიდების დროს“ (გვ. 175–186) განხილულია აქემენიანთა პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების შემდგომი განვითარება და მონარქიული მემკვიდრეობის საკითხები პართელების ხანაში, დაწყებული მეფე არშაკ I-იდან (ძვ. წ. 248–211 წწ) ვიდრე ფრაატ IV-მდე (ძვ. წ. 37–3/2 წწ).

კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, კლაუს ვალლინგ პედერსენის (Claus Valling Pedersen) სტატიაში „შაჰრია მანდანიფური, მოდერნიზმისა და პოსტ-მოდერნისტული წერის სტილის მიჯნაზე“ (გვ. 187–196) მსჯელობა არის იმის თაობაზე, თუ რა ტიპის ნარატიულ ტექნიკას იყენებს შაჰრია მანდანიფური თავის მოთხრობებში: ერთი მხრივ, იგი მსგავსია პოსტ-მოდერნისტულ ლიტერატურაში გამოყენებული ნარატიული ფორმისა, ხოლო მეორე მხრივ – ეს ფორმა მომდინარეობს წერის მოდერნისტული სისტემიდან.

კრაკოვის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის, ანდრეი პისოვიჩის (Andrej Pisowicz) სტატიაში „ირანული აზერბაიჯანის სომხური (სალმასტის დიალექტის) ანდაზების განხილვა“ (გვ. 197–208) წარმოდგენილია ირანის აზერბაიჯანში, ქალაქ სალმასტში გავრცელებულ სომხურ დიალექტზე შესრულებული 50 ანდაზის ინგლისური თარგმანი.

კრაკოვის იოანე პავლე II-ის პონტიფიკური უნივერსიტეტის ასისტენტის, მარტინ რზეპკას (Martin Rzepka) სტატია „ქრისტიანობის უფრო მეტი გაირანულობისათვის. გაქრისტიანების საკითხი ირანში ფაჰლავიანთა დინასტიის მეფობის ადრეულ პერიოდში“ (გვ. 209–218) ეხება ქრისტიანობის განვითარების ტენდეციებსა და პროცესს ირა-

ნელთა წრეში და პროტესტანტულ რწმენაზე გადასვლის საკითხებს. სტატიაში ნაჩვენებია, რომ რელიგიური მრწამსის შეცვლამ, რაც განპირობებული იყო რეზა შაჰის ავტორიტარული პოლიტიკით, არ შეცვალა ირანელთა იდენტობა – ისინი რჩებოდნენ ირანელებად, რადგან შეინარჩუნეს მთავარი მახასიათებელი – სპარსული ენა.

თეირანის შაჰიდ ბეჰეშთის ასოცირებული პროფესორის, სოჰეილა შაჰშაჰანი (Soleiha Shahshahani) სტატიაში „ნასერ ხოსროვ ყობადიანის „სამოგზაურო თხრობა“ ან ანთროპოლოგის თხრობა დღევანდელი გადასახედიდან“ (გვ. 219–230) დასმულია ანთროპოლოგიური კვლევის რეტროსპექტივა სპარსულ ლიტერატურაში. ავტორის თვალსაზრისით, ის აღწერილობები, რომელსაც ადრე ვხვდებით ნასერ ხოსროვ ყობადიანის თხზულებებში, დღევანდელი ანთროპოლოგიური დარგებისთვის მეტად აქტუალურია.

ვარშავის უნივერსიტეტის სრული პროფესორის, ჯოლანტა სიერაკოვსკა-დინდოს (Jolanta Sierakowska-Dyndo) სტატია „პოლონელმა მოსამართლემ დაიცვა ირანული პოზიცია (ინგლისურ-ირანული დავა 1951 წელს)“ (გვ. 231–243) ეხება იმ ნაკლებად ცნობილ ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც 1951 წელს მოხდა ნავთობის ნაციონალიზაციის აქტის გადაზრდის შედეგად ირანულ-ბრიტანულ კონფლიქტში.

კრაკოვის უნივერსიტეტის ინდოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის, ლიდია სუდიკას (Lidia Sudyka) სტატია „როგორც შაქარი რძეში: პუნის ზოროასტრელები“ (გვ. 245–256) ეძღვნება ინდოელი ფარსების (ზოროასტრელების)

თემს, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში დასახლდა პუნაში (მაჰარაშტრა). სტატიაში დაწვრილებითაა გადმოცემული მათი დასახლებისა და საქმიანობის ისტორია.

ბუდაპეშტის ეოტვოს ლორანდის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ივან სზანტოს (Iván Szántó) სტატიაში „ორი ისლამური ციხე-სიმაგრე XIX საუკუნის სტირიაში“ (გვ. 257–266) განხილულია ჰაბსბურგების დროის ევროპისა და ოსმალეთის იმპერიის სასაზღვრო ტერიტორიის – მდინარე რააბთან მიმდებარე მონაკვეთის შექმნისა და ისტორიული მნიშვნელობის საკითხები აღმოსავლეთ-დასავლეთის პოლიტიკურ-რელიგიურ მიმართებებში.

კრებულის ბოლო სტატია, „ადინა კათებ ბოხარის კალიგრაფიულად გაფორმებული შაჰ-ნამე და სხვა ხელნაწერები გვიან XVI-XVII საუკუნეებში“ (გვ. 267–276), რომლის ავტორია საფრანგეთის ეროვნული კვლევის ცენტრის პარიზის ფილიალის ირანისტული კვლევის დირექტორი მარია შუპე (Maria Szuppe), ეძღვნება დასავლეთისა და აღმოსავლეთის სხვადასხვა კოლექციაში დაცული ბუხარელი პროფე-

სიონალი კალიგრაფის (ადინა კათებ ბოხარის) მიერ გაფორმებული სპარსული ლიტერატურული ტექსტების სტილისტურ-კოდიკოლოგიურ შესწავლას.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ, ტრადიციულად, პოლონელ აღმოსავლეთმცოდნეებს (განსაკუთრებით, კრაკოვის აღმოსავლეთმცოდნობის სკოლის ფუძემდებელს – პროფესორ ფრანტიშეკ მახალსკის და მის მოწაფეებს) ყოველთვის მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები ჰქონდათ წამყვან ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებთან (აკადემიკოს გიორგი წერეთელთან, აკადემიკოს სერგი ჯიქიასთან, პროფესორ ვლადიმერ ფუთურიძესთან, პროფესორ დავით კობიძესთან, პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილთან და სხვებთან.) და ამ სკოლის გამომჩინილი წარმომადგენლის – ანა კრასნოვოლსკას ეს საიუბილეო კრებული მეტად საჭირო და საინტერესო იქნება ქართველი სპეციალისტებისთვის.

ელენე გიუნაშვილი
აკადემიკოს გიორგი წერეთლის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

დავით ჩიქოვანი. აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია IV-V საუკუნეებში (კრებათა აქტები და სხვა მასალები). თბილისი: კალმოსანი. 2019. 202 გვ.

აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორია, რომელსაც ასევე სპარსეთის ეკლესიის, სირიულ-სპარსული, ან ნესტორიანული ეკლესიის სახელით იცნობენ, ჩვენში საგანგებო კვლევის საგანი არასდროს გამხდარა. ეს მით უმეტეს გასაკვირია, რადგან შეუძლებელია ქართლის სამეფოს ეკლესიას, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა სასანურ ირანს, რაიმე სახის კავშირი არ ჰქონოდა ამ მეზობელი ქვეყნის ეკლესიასთან. მართალია, აღნიშნულ თემა წამოჭრილია რამდენიმე ქართველი ავტორის (მ. თარხნიშვილი, გ. მამულია, გ. ყიფიანი) მონოგრაფიებსა თუ სტატიებში, მაგრამ ჩვენში, აქამდე, ეს საკითხი სიღრმისეულად არავის შეუსწავლია.

დავით ჩიქოვანის წიგნი, ამ მხრივ, ერთგვარი გარღვევაა ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში. მისი მთავარი ღირსება კი ისაა, რომ იგი ეფუძნება პირველწყაროებს. მასში პირველად ქართულ ენაზე ქვეყნდება აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა აქტები და ის საეკლესიო კანონთა სია, რომელიც ამ ეკლესიამ შეიწყნარა. კერძოდ, მოცემულია 315, 399, 410, 419/20, 424, 484, 485, 486 და 497 წლე-